# შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოება

# ,,ჯორჯიან პროგრესი’’

# ს/ნ 202215183

# ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

# ზოგადი ინფომაცია

შპს ,,ჯორჯიან პროგრესი'' (შემდეგში კომპანია) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხიგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონდმებლობის შესაბამისად. მდებარეობს ქალაქ რუსთავში, მშვიდობის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები. კომპანია დაფუძნდა 2003 წლის 12 სექტემბერს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან მაია ფოფხაძე 32,5%-იანი, თეონა გოგილაშვილი 32,5%-იანი და გიორგი ბოლღაშვილი 35%-იანი წილით.

შპს ,,ჯორჯიან პროგრესი''-ის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში-,,ანგარიშგება'') მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში- ,,ფასს''-ები''), შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში- ,,ბასს-ები'') და მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით, ყველა არსებით ასპექტში. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში -2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით- საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს-ებიტ, აგგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

დირექტორი: გიორგი ბოლღაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ელიკო სირბილაძე

**ფინანსური ანგარიშება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.**


**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----------------------------------------------------------------3**

**მოგება-ზარალის ანგარიშგება-----------------------------------------------------------------------------4**

**საქმიანობის შედეგები-------------------------------------------------------------------------------------- 5**

**ფულადი სახსრების მოძრაობა----------------------------------------------------------------------------6**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები---------------------------------------------7**


დირექტორი: გიორგი ბოლღაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ელიკო სირბილაძე

## შპს „ჯორჯიან პროგრესის"-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2024 | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 403132 | 901399 | 63249 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 3237234 | 1475424 | 383211 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 32869 | 47730 | 49504 |
| მარაგები | 141130 | 41258 | 37800 |
| მზა პროდუქცია | 0 | 0 | 0 |
| სხვა | 141130 | 41258 | 37800 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 56205 | 286 | 420 |
| ძირითადი საშუალებები | 1170803 | 315913 | 226469 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 0 | 0 | 0 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 185250 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 5226623 | 2782010 | 760653 |
| ვალდებულებები | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 0 | 0 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 854708 | 1259606 | 397204 |
| ანარიცხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 10363 | 64894 | 30742 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 0 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 0 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 0 | 0 | 10 |
| სულ ვალდებულებები | 865071 | 1324500 | 427956 |
| საკუთარი კაპიტალი | | | |
| საქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 2000 | 2000 | 2000 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | 4184477 | 1280435 | 155622 |
| გადაფასების რეზერვი | 175075 | 175075 | 175075 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 4361552 | 1457510 | 332697 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 5226623 | 2782010 | 760653 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 3814365 | 2465811 | 533764 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 808867 | 1324500 | 427956 |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები | 0 | 0 | 0 |

დირექტორი: გიორგი ბოლღაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ელიკო სირბილაძე

# შპს ,, ჯორჯიან პროგრესი’’-ს მოგება/ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

**საქმიანობის შედეგები**

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 12457178 | 7195219 |
| საქონლის გაყიდვიდან | 12457178 | 7195219 |
| მომსახურების გაწევიდან | 0 | 0 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | -7693445 | -4900817 |
| საწყისი მარაგები | 0 | 0 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 4763733 | 2294402 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 0 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -305015 | -247764 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -119715 | -71590 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი | 0 | 0 |
| იჯარის ხარჯი | -38983 | -20339 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -1383387 | -824212 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -1847100 | -1163905 |
| საოპერაციო მოგება | 2916633 | 1130497 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0 | 0 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | -11961 | -5684 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 2904672 | 1124813 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | -630 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | 2904042 | 1124813 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | 2904042 | 1124813 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1457510 | 332697 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 0 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 4361552 | 1457510 |
| | | |
| კვლევისა და განვითარების ხარჯები | 0 | 0 |

დირექტორი: გიორგი ბოლღაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ელიკო სირბილაძე

**შპს ,, ჯორჯიან პროგრესი''-ს საქმიანობის შედეგები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

**საქმიანობის შედეგები**

| **საქმიანობის შედეგები** | **31/12/2024** | **31/12/2023** |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 12457178 | 7195219 |
| საქონლის გაყიდვიდან | 12457178 | 7195219 |
| მომსახურების გაწევიდან | 0 | 0 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | -7693445 | -4900817 |
| საწყისი მარაგები | 0 | 0 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 4763733 | 2294402 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 0 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -305015 | -247764 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -119715 | -71590 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი | 0 | 0 |
| იჯარის ხარჯი | -38983 | -20339 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -1383387 | -824212 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -1847100 | -1163905 |
| საოპერაციო მოგება | 2916633 | 1130497 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0 | 0 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | -11961 | -5684 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 2904672 | 1124813 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | -630 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | 2904042 | 1124813 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | 2904042 | 1124813 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1457510 | 332697 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 0 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 4361552 | 1457510 |
| | | |
| კვლევისა და განვითარების ხარჯები | 0 | 0 |

დირექტორი: გიორგი ბოლოღაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ელიკო სირბილაძე

## შპს ,, ჯორჯიან პროგრესი’’-ს ფულადი სახსრების მოძრაობის შედეგები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

### ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -498267 | 838150 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0 | 0 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0 | 0 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | -498267 | 838150 |
| ვალუტის  კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | 0 | 0 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 901399 | 63249 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 403132 | 901399 |

დირექტორი: გიორგი ბოლღაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ელიკო სირბილაძე

## 1. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. კომპანიამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სარეკომენდაციო მითითების საფუძველზე, 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- 2024 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებას;
- სხვა სრული შემოსავლებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას
- შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი მუხლები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის საანგარიშგებო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

**ტერმინების განმარტებები:**

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან

ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

**ფინანსური აქტივები** კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

**სავაჭრო მოთხოვნები** და გაცემული სესხები ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან.

**ფული და ფულის ექვივალენტები** არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე

**ფინანსური ვალდებულებები** ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულებით.

**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია

ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

**სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

**ძირითადი საშუალებები**

**ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ბ) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

**გ) ცვეთა**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

**მარაგები**

მარაგები აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს

დაუმთავრებელი წარმოება. ეტაპობრივად, კონკრეტული საქმიანობის დასრულებისას, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა, შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით

**დაბეგვრა**

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

**შემოსავალის აღიარება**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს

**ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

**საკუთარი კაპიტალი**

საწარმოს საწესდებო კაპიტალი წესდებით არ გააჩნია. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის

შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

**(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა**

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

**(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი**

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

3. **ძირითადი საშუელებები**
   **ძირითადი საშულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:**

| | **შენობა-ნაგებობა** | **ინვენტარი** | **სამშენებლო მანქანები** | **ჯამი** |
|---|---|---|---|---|
| **საბალანსო ღირებულება 31.12.2022** | **1462** | **687** | **121125** | **123274** |
| **საბალანსო ღირებულება 31.12.2023** | **1170** | **8848** | **186900** | **196918** |
| **საბალანსო ღირებულება 31.12.2024** | **9987** | **7078** | **269296** | **286361** |

4. **საინვესტიციო ქონება**
   საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს საწარმოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მომავალში იგეგმება მშენებლობა.

| პერიოდი | 31.12.2024 | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|---|---|---|---|
| ეროვნული ვალუტა სალაროში | 0 | 0 | 0 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 403131 | 901399 | 63249 |

**5. მარაგები**

მარაგები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| პერიოდი | 31.12.2024 | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|---|---|---|---|
| ნედლეული და მასალა | 141130 | 41259 | 37800 |
| დაუმთავრებელი წარმოება | 0 | 0 | 0 |
| მზა პროდუქცია | 0 | 0 | 0 |
| სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი | 0 | 0 | 0 |
| სულ მარაგები | 141130 | 41259 | 37800 |

**6. სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| პერიოდი | 31.12.2024 | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|---|---|---|---|
| მომწოდებლებზე გადასახდელი თანხები | 426702 | 1187447 | 96637 |
| მიღებული ავანსები | 47001 | 0 | 0 |
| სულ სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები | 473703 | 1187447 | 96637 |

**7. საგადასახადო ვალდებულებები**

ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები წარმოიქმნა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედით დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების დაბეგვრის შედეგად.

**8. შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

**9. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

გ) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა.

**10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად აისახება ხარჯებში.

დირექტორი: გიორგი ბოლღაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ელიკო სირბილაძე